დამტკიცებულია
11.08.202*5* წლის ბრძანებით № *01 - 20*
ძალაში შედის *01 .10* . 202*5* წლიდან

ხელშეკრულება

საბროკერო მომსახურების შესახებ
კომპანია "რიონი კაპიტალში"

(სტანდარტული ფორმა)

თბილისი
2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე საბროკერო მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია კლიენტსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რიონი კაპიტალს“ (შემდგომში „ბროკერი“ ან „კომპანია“) შორის, რომლებიც ერთად მოიხსენიებიან, როგორც „მხარეები“.

ბროკერი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განუსაზღვრელი ვადით---------- წელს გაცემული საბროკერო საქმიანობის #---------- ლიცენზიის საფუძველზე, მოქმედების ვადის შეზღუდვის გარეშე;

1.2. ხელშეკრულება არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად. ბროკერს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე ასეთი უარის მიზეზების ახსნის გარეშე.

1.3. ხელშეკრულება განთავსებულია ბროკერის ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია საჯაროდ.

ბროკერსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების დადება ხორციელდება კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით (ხელშეკრულების აქცეპტი). ხელშეკრულების დასადებად (ხელშეკრულების აქცეპტი), კლიენტი ბროკერს წარუდგენს ხელმოწერილ განაცხადს ხელშეკრულების პირობების თანხმობასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე ვრცელდება ხელშეკრულების თანმდევ დანართებზე, კლიენტთა მომსახურების რეგლამენტზე (შემდგომში „რეგლამენტი“) და მის თანმდევ დანართებზე.

აღნიშნული პროცედურა ხორციელდება შემდეგნაირად:

- განაცხადს თანხმობის შესახებ კლიენტი აწერს ხელს ელექტრონულად. ელექტრონული ხელმოწერა გენერირდება ვენდორი კომპანიის პლატფორმაზე. (შემდგომში „ხელშეკრულების დისტანციური დადება“)
- კლიენტი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების მიზნით მარტივი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე.
- ხელშეკრულების დისტანციურად დადების შემთხვევაში, მომსახურების მოთხოვნის მიღება (საინვესტიციო ანგარიშის/ინდივიდუალური საინვესტიციო ანგარიშის გახსნა) ხორციელდება მხოლოდ იმ კლიენტისთვის, რომელმაც წარმატებით გაიარა ავტორიზაცია შპს „რიონი კაპიტალის“ იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის სისტემაში.

1.4. ხელშეკრულება მხარეებს შორის დადებულად ითვლება ბროკერის მიერ კლიენტის მხრიდან ხელშეკრულების პირობების თანხმობის შესახებ განაცხადის მიღებიდან.

1.5. ხელშეკრულების დისტანციურად დადებისას, კლიენტს აქვს შესაძლებლობა ჩამოტვერთოს ხელმოწერილი საბუთები ან განახორციელოს აღნიშნული შემდგომში პირადი კაბინეტის სრვისების მეშვეობით. ხელშეკრულების და საბროკერო ანგარიშის ნომრები კლიენტს მიეწოდება SMS შეტყობინების სახით, რომელიც იგზავნება კლიენტის ვერიფიცირებულ მობილურ ტელეფონის.

1.6. ხელშეკრულება ძალაშია მანამ, სანამ არ შეწყდება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

1.7. ხელშეკრულების დადების და მასში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ადგილია ბროკერის ადგილსამყოფელი.

1.8. ბროკერის ელექტრონული ფოსტის მისამართი: ნებისმიერი ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც შედის შპს „რიონი კაპიტალის“ ელექტრონული ფოსტის მისამართების სიაში და განკუთვნილია კლიენტებთან ურთიერთობისთვის ბროკერის ვებგვერდზე განთავსებული საბროკერო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში.

1.9. ბროკერის ტელეფონის ნომერი: ბროკერის ნებისმიერი ტელეფონის ნომერი, რომელიც შედის შპს „რიონი კაპიტალის“ ტელეფონების სიაში და განკუთვნილია კლიენტებთან ურთიერთობისთვის ბროკერის ვებგვერდზე განთავსებული საბროკერო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში.

1.10. ბროკერის საფოსტო მისამართი: გოდერძი ჩოხელის 1-ლი შესახვევი 12, თბილისი, 0159, საქართველო.

1.11. ბროკერის ოფიციალური ვებგვერდი (შემდგომში „ვებგვერდი“): https://rioni-capital.ge.

1.12. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი და შეტყობინება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, რომლებიც შესაძლოა ითარგმნოს უცხო ენაზე. ქართულ და უცხოენოვან ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

1.13. ხელშეკრულებასა და მის დანართებში გამოყენებული ყველა ტერმინი და დეფინიცია განიმარტება რეგულაციებით დადგენილი მნიშვნელობით. ის ტერმინები და განმარტებები, რომლელთა მნიშვნელობა არ არის მოხსენიებული ქართულ კანონმდებლობაში ან/და ხელშეკრულებაში განიმარტება ევროკავშირის ნორმებით -MIFID-II.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბროკერი იღებს ვალდებულებას, დადოს სამოქალაქო გარიგებები ფასიანი ქაღალდებით (მათ შორის უცხოური ფასიანი ქაღალდებით და უცხოური ფინანსური ინსტრუმენტებით უცხოურ სავაჭრო პლატფორმებზე) ვაჭრობაზე და ასევე დადოს ხელშეკრულებები დერივატივებით ვაჭრობაზე, კლიენტის სახელით და კლიენტის ხარჯზე (მათ შორის, ემისიური ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ მათი განთავსდებისას) ან თავისი სახელით და კლიენტის ხარჯზე.

უცხოური ფასიანი ქაღალდების/უცხოური სავაჭრო პლატფორმების მოქმედი სია (რომლებთანაც ბროკერი იღებს ტრანზაქციების დადების ბრძანებებს) გამოქვეყნებულია ბროკერის ვებ-გვერდზე.

2.2. ბროკერი იღებს ვალდებულებას, კლიენტის ბრძანებით, საკუთარი სახელით და კლიენტის ხარჯზე დადოს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგებები სავალუტო ბაზარზე.

2.3. ბროკერი იღებს ვალდებულებას, კლიენტის ბრძანებით, საკუთარი სახელით და კლიენტის ხარჯზე ანონიმური ფორმით დადოს ძვირფასი ლითორების ყიდვა-გაყიდვის გარიგებები სათანადო ბაზარზე.

2.4. ბროკერს უფლება აქვს, კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციების შესახებ. ასეთი ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება ბროკერის ვებგვერდზე, პირად კაბინეტის მეშვეობით ან სხვა გზით.

კლიენტი ვალდებულია, გაეცნოს ბროკერის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის გამოყენების პრცედურას, რომელიც კლიენტს მიეწოდება ვებ-გვერდის ან პირადი კაბინეტის მეშვეობით. კლიენტი თანახმაა არ შეინახოს, დააკოპიროს, გაამრავლოს,

გაავრცელოს, გადასცეს, გამოაქვეყნოს ან ნებისმიერ სხვა გზით არ გახადოს საჯარო ან/და არ გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს ბროკერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

ამ პუნქტში მითითებული ინფორმაცია არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საინვესტიციო რეკომენდაციას და ასეთ ინფორმაციაში მითითებული ფინანსური ინსტრუმენტები ან ოპერაციები შეიძლება არ შეესაბამებოდეს კლიენტის საინვესტიციო პროფილს. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის შესაძლო დანაკარგებზე აღნიშნულ ინფორმაციაში ნახსენები ოპერაციების ან ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციების შემთხვევაში.

2.5. ბროკერს უფლება აქვს, კლიენტს გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება ფასიან ქაღალდებთან, მათთან გარიგებების დადებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ დერივატივებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების მიწოდების გზით. მითითებული საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების პროცედურა რეგულირდება კლიენტთა მომსახურების რეგლამენტის №12 დანართით.

2.6. ბროკერის მომსახურება ფასიანია.

2.7. ბროკერი იღებს ვალდებულებას, საფასურის სანაცვლოდ, გაუწიოს კლიენტს თანმხლები მომსახურება, რომელიც ეხება ინფორმაციის მიღებას და/ან ფასიანი ქაღალდებით სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადებას, ისეთი კონტრაქტების დადებას, რომლებიც წარმოადგენენ დერივატივებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე, ასევე უცხოური ვალუტის და ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების დადებას.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. ბროკერის უფლებები:

3.1.1. ბროკერს უფლება აქვს, დადოს გარიგებები კლიენტებს შორის, იმოქმედოს საკუთარი სახელით და კლიენტის ხარჯზე ან კლიენტის სახელით და ხარჯზე, ამავდროულად იყოს ერთი და იგივე გარიგების ფარგლებში ორი კლიენტის კომერციული წარმომადგენელი (უფლებამოსილი პირი).

3.1.2. ბროკერს უფლება აქვს უარი თქვას ისეთი ტრანზაქციის/ოპერაციის ბრძანების მიღებაზე/შესრულებაზე, რომელიც მოიცავს მანიპულირების, ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (ფული გათეთრების) ან ტერორიზმის დაფინანსების ნიშნებს, ან სხვა ნიშნებს, რომლებზეც ბროკერს ეჭვი აქვს, რომ ტრანზაქცია/ოპერაცია კანონის მოთხოვნების დარღვევით ხორციელდება.

3.1.3. ბროკერს უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს ნებისმიერი მიმდინარე სატარიფო გეგმა და კლიენტის თანხმობის გარეშე გადაიტანოს იგი „მოიცავს ყველაფერს“ სატარიფო გეგმაზე, რის შესახებაც ბროკერი აცნობებს კლიენტს ელექტრონული ფოსტით და/ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით მინიმუმ 30 კალენდარული დღით ადრე. კლიენტის მიერ სხვა სატარიფო გეგმის შემდგომი არჩევა ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად.

3.1.4. ბროკერს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს დამატებითი მომსახურების მიწოდება კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

3.1.5. ბროკერს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგებების დადებისა და გარიგებებზე ანგარიშსწორების მიზნით, დადოს ხელშეკრულება სხვა ბროკერთან **(ზემდგომ ბროკერთან),** საკრედიტო ორგანიზაციასთან, საკლირინგო

სახლებთან, ტექნიკურ ცენტრთან და/ან სავაჭრო პლატფორმასთან და სხვა პირთან, რომლის მონაწილეობა აუცილებელია ბროკერის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესასრულებლად და/ან განახორციელოს კლიენტის ბრძანებების დელეგირება აღნიშნულ პირებზე.

3.1.6. ბროკერს უფლება აქვს, უსასყიდლოდ გამოიყენოს კლიენტის სახსრები საკუთარი ინტერესებისთვის. ასეთი სახსრების გამოყენებისას არ დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი. კლიენტის სახსრების გამოყენების შედეგად ბროკერის მიერ მიღებული მოგება მთლიანად ბროკერს რჩება. ბროკერის მითითებული უფლება არ ვრცელდება იმ კლიენტების სახსრებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ნორმატიული სამართლებრივი აქტებით დადგენილია ფულადი სახსრების გამოყენების უფლების შეზღუდვა, ან კლიენტისთვის არსებობს ბროკერისთვის ასეთი უფლების მინიჭების შეზღუდვის საფუძველი, რომელიც დადგენილია ნორმატიული სამართლებრივი აქტებით ან კლიენტის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა სათანადო წესით აცნობა ბროკერს ასეთი შეზღუდვების არსებობის შესახებ, ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტმა პირდაპირ აუკრძალა ბროკერს ასეთი გამოყენება.

3.1.7. ბროკერს უფლება აქვს არ მიიღოს კლიენტის წარმომადგენლისგან ბრძანებები და სხვა შეტყობინებები და არ შეასრულოს ისინი, თუ კლიენტმა/კლიენტის წარმომადგენელმა ბროკერს წარუდგინა მინდობილობა, რომელიც არ შეესაბამება ბროკერის მიერ განსაზღვრულ მინდობილობის ფორმას და არ არის დამოწმებული შესაბამისი წესით (რეგლამენტის დანართი 14).

3.1.8. ბროკერს უფლება აქვს, დახუროს კლირინგის სახლების მიერ ადრე გახსნილი კლიენტის სექციები და/ან გააუქმოს კლიენტის რეგისტრაცია ვაჭრობის ორგანიზატორთან, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით და/ან ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ბროკერს უფლება აქვს დახუროს ადრე გახსნილი საინვესტიციო ანგარიშები, პირადი ანგარიშები, ქვეანგარიშები, კლირინგის სახლების კლიენტის სექციები და/ან გააუქმოს კლიენტის რეგისტრაცია ვაჭრობის ორგანიზატორთან, მითითებულ ანგარიშებში/რეესტრებში კლიენტის ქონების არარსებობის შემთხვევაში.

3.1.9. ბროკერს უფლება აქვს, დახუროს ადრე გახსნილი პოზიციების აღრიცხვის ცალკეული ანგარიში (კლირინგის სახლების კლიენტის განყოფილება) /ცალკეული ანგარიშსწორების კოდი, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით და/ან ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ან თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც აშკარად მიუთითებს, რომ ვალდებულებები არ შესრულდება დადგენილ ვადაში, ასევე კლიენტის ქონების არარსებობის შემთხვევაში კლიენტის პოზიციების აღრიცხვის ცალკეულ ანგარიშზე/კლიენტის ცალკეულ საანგარიშსწორებო კოდზე.

3.1.10. ბროკერს უფლება აქვს, შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ (გარკვეული მომსახურების გაწევის თვალსაზრისით), შეწყვიტოს ბრძანებების და სხვა განკარგულებითი ხასიათის შეტყობინებების მიღება, შეწყვიტოს ადრე მიღებული შეტყობინებების შესრულება (დააწესოს ბლოკი), შემდეგ შემთხვევებში:

- კლიენტის მიერ ხელშეკრულებით, დამატებითი შეთანხმებით, საქართველოს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნებით, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტებით, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების

გადაწყვეტილებებით, ბრძანებებითა და სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება;

- თუ ბროკერს აქვს საფუძველი იფიქროს, რომ კლიენტის ქმედებები მიზნად ისახავს კანონმდებლობის დარღვევას, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციას, რომელიც აღწერილია საქართველოს კანონში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
- ინფორმაციის ან დოკუმენტების მოპოვების შემთხვევაში, რომლებიც მიუთითებს, რომ კლიენტი არ შეასრულებს ვალდებულებებს განსაზღვრულ ვადაში. მათ შორის, ბროკერის მიერ კლიენტის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტების მიღება ან ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლიენტის მიერ მოწოდებული მონაცემები მოძველებულია.

3.1.11. ბროკერს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია ბროკერისთვის საქართველოს კანონმდებლობის, უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად და/ან კლიენტისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ წარადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს მოთხოვნაში მითითებულ ვადაში, ბროკერს უფლება აქვს, სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა კლიენტისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით მომსახურების შეჩერების თარიღამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე.

3.1.12. ბროკერს უფლება აქვს არ მიიღოს/შეასრულოს კლიენტის ბრძანება გარიგებასთან დაკავშირებით, მათ შორის უკვე ნაწილობრივ შესრულებულზე, თუ შესრულება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობის, სავაჭრო წესების, კლირინგის წესების, ხელშეკრულების ან რეგლამენტის დარღვევას და/ან შეუძლებელს გახდის პოზიციების დახურვის პირობითი ბრძანებების შესრულებას.

3.1.13. ბროკერს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი თქვას ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე, ასევე შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურების გაწევა, თუ კლიენტი არ გამოიყენებს მას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, ასევე ამ ხელშეკრულებითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.1.14. ბროკერს უფლება აქვს რეგლამენტის დანართით No 12 გათვალისწინებულ შემთხვევებში, კლიენტს გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება ფასიანი ქაღალდების, მათთან გარიგებების (რომლებიც წარმოადგენენ დერივატივებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე) დადებასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური საინვესტიციო რეკომენდაციების გაწევის გზით.

3.1.15. თუ რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ბროკერს უფლება აქვს კლიენტის საბროკერო ანგარიშზე დაბლოკოს (ვალდებულებების ოდენობა გაზარდოს) ფულადი სახსრების ოდენობა, რომელიც აუცილებელია ბროკერის ხარჯების ასანაზღაურებლად და/ან ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად დადებული ხელშეკრულებებისთვის.

მითითებული უზრუნველყოფის ოდენობა შეიძლება აღემატებოდეს ბროკერის ანაზღაურების და/ან ხარჯების ანაზღაურებისთვის საჭირო თანხების ოდენობას. ზედმეტად დაბლოკილი თანხების ბლოკირება იხსნება ბროკერის ანაზღაურების გადახდის და/ან ხარჯების ანაზღაურების ანგარიშსწორების დასრულების შემდეგ.

3.1.16. ბროკერს უფლება აქვს, დაამუშაოს, მათ შორის, მესამე პირებს გადასცეს კლიენტის პერსონალური მონაცემები სპეციალური თანხმობის მიღების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების დადებისა და (ან) შესრულებისთვის, მათ შორის კლიენტისთვის შესაბამის სავაჭრო ორგანიზატორებთან ვაჭრობაზე წვდომის უზრუნველყოფისა და კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე დადებული გარიგებების ანგარიშსწორების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

3.1.17. ბროკერს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, მათ შორის დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში და (ან) უცხო ქვეყნის მთავრობისა და ადმინისტრაციული ორგანოების, საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისი, უცხოური ორგანიზაციების ან ასოციაციების (კავშირების) მიერ საქართველოსთან, კლიენტთან, ბროკერთან და მათთან აფილირებულ ან მათთან ერთ ჯგუფში შემავალ სხვა პირებთან, ინფრასტრუქტურულ ორგანიზაციებთან მიმართებაში შემზღუდავი ზომების გამოყენების შემთხვევაში, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო სანქციებითა და სხვა შეზღუდვებით და (ან) გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილებით, გადასცეს კლიენტი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სხვა პროფესიონალ მონაწილეს მომსახურების გასაწევად, რომელიც მოქმედებს საბროკერო საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის შესაბამისად (შემდგომში „მესამე მხარე ბროკერი“), კლიენტის სახელით მესამე მხარე ბროკერთან საბროკერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადებისა და კლიენტის აქტივების გადაცემით, კლიენტს, ბროკერსა და მესამე მხარე ბროკერს შორის ამ პუნქტით დადგენილი წესით დადებული მომსახურების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების (ოფერტის) საფუძველზე.

ზემოაღნიშნული მიზნებისთვის, ბროკერი, მესამე მხარე ბროკერთან ურთიერთშეთანხმებით, კლიენტს ელექტრონული ფოსტის მისამართზე უგზავნის შეტყობინებას (ოფერტას), რომელიც შეიცავს მომსახურებაზე გადასვლის შესახებ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას. კლიენტი ადასტურებს, რომ აღნიშნული შეტყობინების მიღების დღიდან მას უფლება აქვს, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ელექტრონული ფოსტით გაუგზავნოს ბროკერს წერილობითი უარი მომსახურების გადასვლის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე, რეგლამენტით დადგენილი წესით.

3.1.18. თუ ზემოთ მითითებულ ვადაში ბროკერმა კლიენტისგან არ მიიღო წერილობითი უარი მომსახურების გადასვლის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ამ პუნქტში მითითებული წესით, ჩაითვლება, რომ კლიენტმა დადო ასეთი ხელშეკრულება ბროკერთან და მესამე მხარის ბროკერთან ამ შემთხვევაში, კლიენტს, ბროკერსა და მესამე მხარის ბროკერს შორის მომსახურების გადასვლის შესახებ ხელშეკრულების არსებითი პირობაა, რომ მესამე მხარის ბროკერის მიერ კლიენტისთვის საბროკერო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებით დადგენილ პირობებზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით.

3.1.19. ბროკერს უფლება აქვს გაუგზავნოს კლიენტს მოთხოვნა ანკეტაში მითითებული მონაცემების განახლების შესახებ.

3.1.20. ბროკერი სარგებლობს ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებულ სხვა უფლებებით.

3.2. ბროკერის მოვალეობები:

3.2.1.ბროკერი ვალდებულია, შეასრულოს კლიენტის ბრძანებები მათი მიღების თანმიმდევრობით და საუკეთესო შესაძლო პირობებით.

3.2.2. ბროკერი ვალდებულია, შეასრულოს კლიენტის ბრძანებები მათი არსებითი პირობების მკაცრი დაცვით, მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

3.2.3. ბროკერი ვალდებულია (მოთხოვნის შემთხვევაში) კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გაცემული ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით.

3.2.4. ბროკერი ვალდებულია კლიენტს წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

3.2.5. ბროკერი ვალდებულია კლიენტისთვის გახსნას საჭირო ანგარიშები ხელშეკრულების შესაბამისად.

3.2.6. ბროკერი ვალდებულია, კლიენტის ქონების შესახებ ცალკე აწარმოოს შიდა ჩანაწერები კლიენტის საბროკერო ანგარიშების ჭრილში, კლიენტის ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდებისგან განცალკევებით.

3.2.7. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ბროკერი ვალდებულია აცნობოს კლიენტს ასეთი კონფლიქტის წარმოშობის შესახებ და მიიღოს ყველა საჭირო ზომა კლიენტის სასარგებლოდ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

3.2.8. ბროკერი, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და/ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია გადასცეს კლიენტის ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია დეპოზიტარებს, ასევე ვაჭრობის ორგანიზატორებს, კლირინგ სახლებს, ზემდგომ ბროკერებს, ემიტენტებს, სამთავრობო ორგანოებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, უცხო ქვეყნის ფინანსურ მარეგულირებლებს და სხვა პირებს. გადაცემული ინფორმაციის მოცულობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით ან ასეთ პირებთან დადებული ხელშეკრულებებით. ბროკერი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობის შესახებ, ასევე დამატებითი საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება, რომლის მოცულობა, ღირებულება და მიწოდების პროცედურა შეთანხმებულია კლიენტთან ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებაში ან ცალკეულ ხელშეკრულებებში.

3.2.9. ბროკერი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს სავაჭრო ორგანიზატორებს შესაბამისი განაცხადები, როგორც სავაჭრო მონაწილის, კლიენტის ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებული გარიგებების დასადებად, სავაჭრო წესებითა და კლირინგის წესებით, ასევე ხელშეკრულებითა და მათი დანართებით განსაზღვრული წესით.

3.2.10. ბროკერი ვალდებულია, კლიენტს შეტყობინებების გაგზავნის გზით აცნობოს ვაჭრობის მონაწილეებისთვის ყველა არსებითი მოთხოვნისა და მათი ცვლილებების შესახებ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა იმ დღიდან, როდესაც ბროკერი მიიღებს ვაჭრობის ორგანიზატორისგან შესაბამის შეტყობინებებს. ხელშეკრულებით დადგენილი პროცედურის გარდა, ასეთი შეტყობინებები შეიძლება მიეწოდოს კლიენტს: (ა) ბროკერის მიერ კლიენტისთვის წარდგენილ ყოველდღიურ ანგარიშგებასთან ერთად; (ბ) ბროკერის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

3.2.11. ბროკერი ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მიიღოს ზომები კლიენტთან ანგარიშგების წარდგენისას წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოების აღმოსაფხვრელად.

3.2.12. ბროკერი, ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციების განხორციელების და/ან დერივატივებზე ხელშეკრულების დადებაზე ბრძანების მიღებამდე ვალდებულია:

მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს, რომელიც არ არის გათვითცნობიერებული ინვესტორი, ასეთი ფასიანი ქაღალდებისა და დერივატივების შეთავაზების, ფასების შესახებ იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ბროკერის მიერ ფინანსურ ბაზარზე ტრანზაქციების შესრულებისთვის დადგენილი სტანდარტებით.

მითითებულ ინფორმაციაზე წვდომა ხორციელდება კლიენტისთვის სავაჭრო ფლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფის და/ან შპს „რიონი კაპიტალის" პირადი კაბინეტის პროგრამული უზრუნველყოფის და/ან პირადი ანგარიშის მობილური ვერსიის (CMPA) მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ მითითებული პროგრამული უზრუნველყოფა არ შეიცავს საჭირო ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების, დერივატივების შეთავაზების და ვაჭრობის ფასების შესახებ, ბროკერი კლიენტს სიტყვიერად აწვდის მითითებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, ბროკერს უფლება აქვს კლიენტს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების, დერივატივების შეთავაზებისა და ვაჭრობის ფასების შესახებ, მათ შორის ელექტრონული შეტყობინების გაგზავნით ან მითითებული ინფორმაციის ბროკერის ვებგვერდზე განთავსებით.

ბროკერი არ მიაწვდის კლიენტს ამ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას ან არ მიანიჭებს მასზე წვდომას, თუ ეს შეუძლებელია იმ გარემოებების გამო, რომლებზეც ბროკერი არ არის პასუხისმგებელი.

3.2.13. ხელშეკრულებითა და მისი დანართებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

3.3. კლიენტის უფლებები:

3.3.1. კლიენტს უფლება აქვს, ბროკერს მისცეს მითითებები ქონებასთან დაკავშირებული გარიგებებისა და ოპერაციების დადების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3.3.2. კლიენტს უფლება აქვს ბროკერისგან მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელთა მიღების უფლება გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ".

3.3.3. კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს ბროკერისგან ინფორმაცია ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3.3.4. კლიენტს უფლება აქვს მიიღოს ბროკერისგან ანგარიშგებები ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში.

3.3.5. კლიენტს უფლება აქვს, შეცვალოს არჩეული სატარიფო გეგმა, მომსახურების პირობები, აირჩიოს დამატებითი სერვისები ან უარი თქვას ნებისმიერი მომსახურების მიღებაზე, ბროკერისთვის განაცხადის წარდგენით შესაბამისი აღნიშვნებით, კლიენტის პირად კაბინეტში.

სატარიფო გეგმებში ცვლილებები ძალაში შედის ბროკერის მიერ შესაბამისი განაცხადის მიღებიდან მომდევნო კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან. მომსახურების პირობებში ცვლილებები და დამატებები, უარი მომსახურებაზე ძალაში შედის ბროკერის მიერ შესაბამისი განაცხადის მიღების მომდევნო სამუშაო დღიდან.

3.3.6. კლიენტს უფლება აქვს, ბროკერს გაუგზავნოს საჩივარი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შემდეგი ერთი ან რამდენიმე ფაქტების შესახებ:

- კლიენტის უფლებების და/ან თავისუფლებების და/ან კანონიერი ინტერესების დარღვევების შესახებ, რომლებიც დაშვებულია და/ან შესაძლოა დაშვებული იყოს ბროკერის და/ან ბროკერის თანამშრომლის მიერ;

- ბროკერსა და კლიენტს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი კანონების, რეგულაციების, ასევე კონტრაქტების, შეთანხმებებისა და სხვა დოკუმენტების დარღვევების შესახებ, რომლებიც დაშვებულია და/ან შესაძლოა დაშვებული იყოს ბროკერის და/ან ბროკერის თანამშრომლის მიერ.

მითითებული მოთხოვნა უნდა იყოს წარდგენილი კლიენტის მიერ მხოლოდ კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით.

3.3.7. კლიენტს, მისი მითითებით/განცხადებით ტრანზაქციის განხორციელებაზე ბროკერის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, უფლება აქვს ბროკერს წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტები და/ან ინფორმაცია ასეთი უარის გადაწყვეტილების უსაფუძვლობის დასასაბუთებლად. ინფორმაციის წარდგენა ხორციელდება კლიენტის პირადი კაბინეტის მეშვეობით. ბროკერი განიხილავს აღნიშნულ განაცხადს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და წესის დაცვით.

3.3.8. კლიენტს აქვს ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

3.4. კლიენტის პასუხისმგებლობა.

3.4.1. კლიენტი ვალდებულია დაფაროს ბროკერის ანაზღაურება და ხარჯები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

3.4.2. კლიენტი ვალდებულია ბროკერს მიაწოდოს სათანადოდ გაფორმებული მინდობილობები, ასევე სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ უკანასკნელისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების შესასრულებლად, ან ასევე აუცილებელია ბროკერისთვის საქართველოს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

3.4.3. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს საბროკერო ანგარიშზე თანხებისა და ფასიანი ქაღალდების, დერივატივების, ვალუტის და ძვირფასი ლითონების არსებობა, რაც აუცილებელია ბროკერისთვის კლიენტის სახელით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე დადებული ტრანზაქციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე კლიენტის სხვა ვალდებულებების შესასრულებლად.

3.4.4. კლიენტი ვალდებულია დროულად და დადგენილი წესით აცნობოს ბროკერს მის მიერ მოწოდებულ მონაცემებში განხორციელებული ყველა ცვლილების შესახებ და მას ეკისრება ასეთი ინფორმაციის მიუწოდებლობის ან არადროულ მიწოდებასთან დაკავშირებული შედეგების რისკი.

3.4.5. კლიენტი ვალდებულია, პირადი კაბინეტის მეშვეობით, ყოველწლიურად განაახლოს პირადი მონაცემები, ასევე მისი წარმომადგენლების, ბენეფიციარებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების პერსონალური მონაცემები ან/და დაადასტუროს, რომ მონაცემებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

3.4.6. წარმომადგენლის/ბენეფიციარის დანიშვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია შეავსოს წარმომადგენლის/ბენეფიციარის კითხვარი. ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს კლიენტის წარმომადგენლის/ბენეფიციარის დანიშვნის საფუძველს.

ასეთი მოთხოვნის მიღებისთანავე, კლიენტი ვალდებულია ბროკერს მიაწოდოს დოკუმენტები შესაბამის მოთხოვნაში მითითებულ ვადაში. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბროკერს კლიენტის წარმომადგენლის/ბენეფიციარის მონაცემების ნებისმიერი ცვლილების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3.4.7. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ანგარიშების გახსნისა და გარიგების დადებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი, ასევე განხორციელებული ტრანზაქციების და ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების ხელახალი რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები (ნებისმიერი დოკუმენტი ბროკერის მოთხოვნით, ასეთ მოთხოვნაში მითითებულ ვადაში).

3.4.8. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბროკერს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მობილური ტელეფონის დაკარგვის, პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომის მომხმარებლის სახელისა და პაროლის, ზეპირი შეტყობინებების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული კოდური სიტყვის, უფლებამოსილი პირის მინდობილობის გაუქმების ფაქტისა და სხვა ფაქტების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მესამე მხარის მიერ კლიენტის საბროკერო ანგარიშზე თაღლითური და არაავტორიზებული ქმედებები.

3.4.9. კლიენტი ვალდებულია, ბროკერის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნაში მითითებულ ვადაში წარადგინოს საჭირო წერილობითი განმარტებები, ასევე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ კლიენტის ტრანზაქციების ეკონომიკურ და კანონიერ საფუძველს.

3.4.10. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბროკერის ანგარიშგებაში არსებული ნებისმიერი შეცდომის, უზუსტობის ან სხვა შეუსაბამობის შესახებ სავაჭრო დღის შედეგებიდან გამომდინარე.

3.4.11. კლიენტი ვალდებულია თავიდან აიცილოს ისეთი ტრანზაქციების/ოპერაციების ბრძანებების წარდგენა, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს მანიპულირების ნიშნებს, ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების, დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის, ან ტერორიზმის დაფინანსების, ან კანონის მოთხოვნების სხვა დარღვევების ნიშნებს.

3.4.12. კლიენტი ვალდებულია გამოიყენოს ბროკერისგან მიღებული საბირჟო ინფორმაცია მხოლოდ ბირჟებზე ტრანზაქციების განხორციელების გადაწყვეტილების მიღების მიზნით (თუ სავაჭრო წესებით ან ბროკერთან შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი).

3.4.13. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტი ვალდებულია წარადგინოს ბრძანება ტრანზაქციების და სხვა ოპერაციების შესასრულებლად სავაჭრო ლიმიტების ფარგლებში.

3.4.14. ოპერაციების დაწყების თარიღის მიუხედავად, კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბროკერს ხელშეკრულების შესაბამისად გახსნილი ანგარიშების მომსახურების ხარჯები, მომსახურების ტარიფებით გათვალისწინებული ოდენობით და წესით.

3.4.15. ანგარიშის მართვისა და კლიენტის სახელით ტრანზაქციების განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს მოცემული პირის მინდობილობა და შეავსოს შესაბამისი კითხვარი.

3.4.16. კლიენტის - ფიზიკური პირის მიერ სხვა ფიზიკური პირისთვის გაცემული მინდობილობა უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.

3.4.17. წარმომადგენლის მინდობილობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი/კლიენტის წარმომადგენელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბროკერს აღნიშნულის შესახებ პირადი კაბინეტის მეშვეობით.

კლიენტის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ბროკერის მიერ მიღებულად ითვლება და ბროკერი ინფორმირებულად მიიჩნევა ბროკერის მიერ ამ პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღების მომდევნო სამუშაო/სავაჭრო დღიდან, რის შესახებაც კლიენტის პირად კაბინეტში ბროკერი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას თარიღის მითითებით. ასევე ხორციელდება ცვლილება კლიენტის წარმომადგენლების სიაში.

3.4.18. კლიენტი ვალდებულია გაეცნოს გარკვეულ ინსტრუმენტებზე ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეტყობინებას, სანამ ბროკერს წარუდგენს ასეთ ინსტრუმენტზე ტრანზაქციის შესრულების ბრძანებას, კლიენტი ვალდებულია გაეცნოს ემიტენტის წარსულ და მომავალ კორპორატიულ ქმედებებს (ემიტენტის შესაძლო რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინებები, გადახდისა და შემოსავლის ოდენობის, ფასიანი ქაღალდების გამოშვების, კონვერტაციის, შეძენის, გამოსყიდვის და სხვა გადაწყვეტილებები), რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კლიენტის გადაწყვეტილებაზე ასეთ ინსტრუმენტზე გარიგების შესრულების შესახებ.

კლიენტი ვალდებულია გაეცნოს რისკის შესახებ რელევანტურ დეკლარაციას, ბროკერისთვის გარიგებას/ოპერაციის თითოეული ბრძანების წარდგენამდე, ხელშეკრულების შესაბამისად.

3.4.19. კლიენტი ვალდებულია შეამოწმოს და გადაამოწმოს მისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის, მხოლოდ კლიენტისთვის ცნობილი და/ან ბროკერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის) შესაბამისობა ბროკერის მიერ კლიენტისთვის მოწოდებულ ნებისმიერ SMS შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციასთან.

3.4.20. კლიენტი ვალდებულია რეგულარულად შევიდეს ბროკერის ვებ-გვერდზე, რათა გაეცნოს ბროკერის შეტყობინებებს, ასევე ხელშეკრულებასა და მის დანართებში შეტანილ ცვლილებებს, დამატებებს და სრულად იღებს ყველა რისკს, რომელიც დაკავშირებულია მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობასთან ან არასათანადოდ შესრულებასთან.

3.4.21. კლიენტი ვალდებულია რეგულარულად განაახლოს კითხვარში მითითებული მონაცემები, დაუყოვნებლივ აცნობოს ბროკერს კითხვარში მითითებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ და დაუყოვნებლივ უპასუხოს ბროკერისგან მიღებულ მოთხოვნებს კითხვარის მონაცემების განახლებასთან დაკავშირებით.

3.4.22. კლიენტს ეკისრება მოცემული ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 4. გადახდის პროცედურა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის, კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბროკერს საკომისიო.

4.2. კლიენტი აანაზღაურებს ბროკერის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს, ასევე ბროკერის მიერ კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით

ბროკერის მიმართ მოქმედ მესამე მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად გაწეულ ხარჯებს.

იმ შემთხვევაში, თუ ბროკერი ახორციელებს ცალკეული ანგარიშსწორების კოდების გახსნას და წარმართვას კლირინგის სახლების წესების შესაბამისად, კლიენტის სახსრების შესახებ ცალკეული ჩანაწერების შენახვასთან დაკავშირებით საფონდო, ფიუჩერსულ ან სავალუტო ბაზარზე, კლიენტი აუნაზღაურებს ბროკერს ამასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს, რომელიც ბროკერის მიერ გადახდილია კლირინგის სახლისთვის.

4.3. ბროკერის ანაზღაურების ოდენობა, გაანგარიშების პროცედურა, ანაზღაურების გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება ბროკერის ტარიფებით. მოქმედ ტარიფებში ცვლილებები და დამატებები შეაქვს ბროკერს ცალმხრივად, რის შესახებაც კლიენტს ეცნობება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ ბროკერმა დადო გარიგება კლიენტის ბრძანებაში მითითებულ პირობებზე მეტად ხელსაყრელი პირობებით, დამატებითი სარგებელი თანაბრად არ ნაწილდება კლიენტსა და ბროკერს შორის, არამედ წარმოადგენს კლიენტის სარგებელს.

4.5. ბროკერის ანაზღაურების გადახდა ხორციელდება როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში, გადახდის პროცედურის მიხედვით.

4.6. კლიენტი დამოუკიდებლად იხდის ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბროკერი ვალდებულია კლიენტთან მიმართებაში შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქციები.

4.7. თუ ამ ხელშეკრულებით, სავაჭრო ან კლირინგის წესებით, დერივატივებზე კონტრაქტების სპეციფიკაციებით ან კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე შესრულებული ტრანზაქციის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტის მითითებების შესასრულებლად განხორციელებული ტრანზაქციებით, რომელთა ვალდებულებებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, ყველა ანგარიშსწორება ხორციელდება აშშ დოლარში, ტრანზაქციის თარიღისთვის დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, დამნაშავე მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზიანი. კლიენტისთვის ზიანის ანაზღაურების ყველა შემთხვევაში, ბროკერი აანაზღაურებს ასეთ ზიანს მხოლოდ ფაქტობრივი ზიანის ოდენობით; მიუღებელი შემოსავალი სახით ზიანი კლიენტს არ აუნაზღაურდება.

5.2. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ბროკერს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა მანამ, სანამ კლიენტი სრულად არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

5.3. ბროკერი პასუხისმგებელია კლიენტისთვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურებაზე, თანამშრომლების ნებისმიერი ქმედების (უმოქმედობის), რამაც გამოიწვია ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა/არასათანადო შესრულება, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კლიენტის ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას

სხვა პირების, ასევე თავად კლიენტის ქმედებების (უმოქმედობის) შედეგად, ეკისრება კლიენტს.

5.4. კლიენტი სრულად აგებს პასუხს მისთვის ბროკერის მიერ კლიენტისვე ბრალით მიყენებულ ნებისმიერ ზიანსა და/ან დანაკარგზე, მათ შორის, კლიენტის მიერ ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული კლიენტის მონაცემებისა და/ან დოკუმენტების ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის (დაგვიანებით მიწოდების) შედეგად მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე, ასევე კლიენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის სახეცვლილების შედეგად ბროკერის მიერ მიღებულ ზარალზე.

5.5. კლიენტი პასუხისმგებელია პროგრამულ უზრუნველყოფასთან მუშაობისას განხორციელებულ ყველა ქმედებაზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, პერსონალურ კაბინეტში, სავაჭრო პლატფორმაზე და ბროკერის ვებ-გვერდზე.

5.6. კლიენტი სრულად აგებს პასუხს ბროკერისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანსა და/ან დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებით, და/ან რეპროდუცირებით და/ან გავრცელებით ან მისი არაავტორიზებული გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი საბირჟო ინფორმაციას ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოიყენებს, ბროკერს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის მიმართ გამოიყენოს შემდეგი პასუხისმგებლობის ზომებიდან ერთ-ერთი:

- საბირჟო ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებული დარღვევის შესახებ წერილობითი გაფრთხილება;
- კლიენტისთვის საბირჟო ინფორმაციის მიწოდების შეჩერება მანამ, სანამ არ აღმოიფხვრება კლიენტის მიერ საბირჟო ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ჩადენილი დარღვევები;
- კლიენტისთვის საბირჟო ინფორმაციის მიწოდების შეწყვეტა.

5.7. ბროკერი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე იმ ინფორმაციისა და დოკუმენტების მიუწოდებლობისთვის, რომელთა უზრუნველყოფაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით.

5.8. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ბროკერის ქმედებებით ან უმოქმედობით გამოწვეული ზიანისთვის, თუ ბროკერი გონივრულად დაეყრდნო კლიენტის მითითებებს, რომლებიც მოცემულია კლიენტის შეტყობინებაში (ინსტრუქციაში) და გონივრულად მიიჩნია ასეთი შეტყობინება (ინსტრუქცია) კლიენტისგან წარმოშობილად, ასევე ინფორმაციაზე, რომელმაც დაკარგა რელევანტურობა კლიენტის მიერ ბროკერისთვის არადროული შეტყობინების გამო, ან განზრახ მცდარია, ასევე კლიენტის მიერ ბროკერისთვის ინფორმაციის და/ან მონაცემების და/ან დოკუმენტების მიწოდების ან არადროული მიწოდების გამო, რაც აუცილებელია ბროკერისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

5.9. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი საინვესტიციო გადაწყვეტილებების შედეგებზე, კლიენტის მიერ ბროკერისგან მიღებული ანალიტიკური მასალებისა და საინფორმაციო შეტყობინებების (მათ შორის, სავაჭრო იდეების) საფუძველზე.

5.10. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადო შესრულებაზე, მათ შორის კლიენტის მიერ ასეთი ქმედებით მიყენებულ ნებისმიერ დანაკარგზე, თუ ეს გამოწვეულია მესამე მხარეების მიერ ბროკერის წინაშე ვალდებულებების

შეუსრულებლობით/არასათანადო შესრულებით. აღნიშნულ მესამე მხარეებში შეიძლება შედიოდნენ ინფრასტრუქტურის ორგანიზაციები (ვაჭრობის ორგანიზატორები, დეპოზიტარები, კლირინგის სახლები, რეგისტრატორები), საკრედიტო ორგანიზაციები, გარიგებების კონტრაგენტები და სხვა პირები, რომლებთანაც ბროკერი შედის სამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

5.11. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ კლირინგის სახლი მიიღებს ზომებს საგანგებო სიტუაციის მოსაგვარებლად კლირინგის წესების შესაბამისად, ასევე კლიენტისთვის მიყენებული ზარალისთვის, ვალდებულებების შესრულების შედეგად.

შესაბამის სახელმწიფოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების სპეციფიკის ან გარკვეული ტიპის უცხოური ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშსწორების სპეციფიკის ან სახელმწიფო (მარეგულირებელი) ორგანოების გადაწყვეტილებების ან დამკვიდრებული ბიზნეს პრაქტიკის გამო, შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ინფრასტრუქტურული ორგანიზაციები, მათ შორის ვაჭრობის ორგანიზატორები, კლირინგის სახლები (ან ანალოგები), ანგარიშსწორების ორგანიზაციები (დეპოზიტორები, ბროკერები, კასტოდიანები ან მათი ანალოგები) ვერ ასრულებენ ჯეროვნად მათ ფუნქციებს, რომლებიც აუცილებელია კლინეტის ბრძანების შესასრულებლად (ანგარიშსწორებები გარიგების მიხედვით, რომლებიც ბროკერმა შეასულა კლიენტის მითითებით უცხოურ სავაჭრო პლატფორმაზე, თანხების გადაუხდელობა, ფასიანი ქაღალდების მიწოდების შეუძლებლობა) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების სათანადოდ შესასრულებლად.

აღნიშნულ შემთხვევაში, ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის ზარალის წარმოშობასა და ასეთი შედეგების დადგომაზე, თუ ისინი წარმოიშვა ბროკერის ბრალეულობის გარეშე, რომელიც გარიგების დადებისას გონივრულად დაეყრდნო კლიენტის ბრძანებას.

5.12. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადო შესრულებაზე, ასევე კლიენტისთვის მიყენებულ ზარალზე, თუ ასეთი შეუსრულებლობა/არასათანადო შესრულება და/ან ზარალი დაკავშირებულია სანქციების შეზღუდვებთან იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ ბროკერისთვის უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდებით გარიგებების შესასრულებლად ხელშეკრულების თანახმად გადაცემული ფულადი სახსრები და/ან დერივატივებზე ხელშეკრულებები, და ასევე, უცხოური ვალუტა, რომელიც მიღებულია ბროკერის მიერ ასეთი გარიგებების და/ან ასეთი შეთანხმებების ფარგლებში, განთავსებული იქნება უცხოურ ვალუტაში გახსნილ საბროკერო ანგარიშ(ებ)ზე, რომელიც გახსნილია ზემდგომ ბროკერთან და/ან საკლირინგო ბანკში (ბანკებში) ზემდგომი ბროკერის მიერ, შესაძლოა არსებობდეს უცხოური ვალუტით ტრანზაქციების განხორციელების შეუძლებლობის ან პირობების დარღვევის რისკი, მათ შორის კლიენტისთვის უცხოური ვალუტის დაბრუნების რისკი, სანქციული შეზღუდვის წარმოშობის გამო.

5.13. ბროკერის მიერ კლიენტის მოთხოვნის შეუსრულებლობა საბროკერო ანგარიშიდან(ებიდან) უცხოური ვალუტის დაბრუნების შესახებ, არ გამოიწვევს ბროკერის პასუხისმგებლობას, თუ ასეთი შეუძლებლობა ან დაგვიანება გამოწვეულია სანქციებით გამოწვეული შეზღუდვევით. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია, რომელშიც ბროკერმა და/ან ზემდგომმა ბროკერმა გახსნა საბროკერო ანგარიშები, მათ შორის საკუთარი ინიციატივით, ახორციელებს ტრანზაქციებს კლიენტის უცხოურ ვალუტაში არსებული სახსრებით, მათ შორის უცხოური ვალუტით არსებული სახსრების სხვა ვალუტაში კონვერტაციას, სანქციებით გამოწვეული შეზღუდვების დადგომის გამო, კლიენტს არ ექნება პრეტენზია

ბროკერის მიმართ ასეთ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, მათ შორის კონვერტაციის კურსთან დაკავშირებით, ითვლება, რომ კლიენტი დაეთანხმა აღნიშნულ ტრანზაქციას და მის პირობებს, ბროკერი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ასეთი ორგანიზაციის აღნიშნულ ქმედებებზე.

5.14. ბროკერი ასევე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულებების დარღვევაზე და/ან შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც ართულებს/შეუძლებელს ხდის ბროკერისთვის ვალდებულებების შესრულებას, ართულებს/შეუძლებელს ხდის ბროკერის მიერ ვალდებულებების შესრულების შედეგად დადებული შესაბამისი გარიგების შესრულებას ან შესაძლოა შეიცავდეს კლიენტისთვის დამატებით რისკებს იმ შემთხვევაში, თუ ბროკერი შეასრულებს ასეთ ვალდებულებებს. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი ვალდებულებების დარღვევაზე ზემოაღნიშნული გარემოებების დადგომისას, თუ ბროკერი, საკუთარი შეფასებით, მათი შესრულების შედეგად შეიძლება გახდეს დასანქცირებული პირი.

5.15. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია უცხოელი სავაჭრო ორგანიზატორების (უცხოური ბირჟების) მიერ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

5.16. ბროკერი არ აგებს პასუხს, თუ კლიენტის სახელით სავაჭრო ორგანიზატორისთვის დროულად წარდგენილი ტრანზაქციის ბრძანება არ დაკმაყოფილდა ბაზარზე არსებული პირობების გამო.

5.17. ყველა შემთხვევაში, ბროკერი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე/არასათანადო შესრულებაზე, ასევე კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის გარემოებების შედეგად მიყენებულ ზარალზე.

5.18. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის ბრძანების შეუსრულებლობაზე და/ან არასათანადო შესრულებაზე, თუ ეს გამოწვეული იყო კომპიუტერული ქსელების, ელექტროქსელების ან სატელეკომუნიკაციო სისტემების გაუმართაობით, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება ბრძანების მისაღებად ან შესასრულებლად, ან გარიგებების დადების სხვა პროცედურების უზრუნველსაყოფად, ასევე მესამე მხარეების, მათ შორის ვაჭრობის, ანგარიშსწორებისა და კლირინგის პროცედურების განმახორციელებელი ორგანიზაციების უკანონო ქმედებებით.

5.19. ამ ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული გადახდის ვადების დარღვევისთვის, ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს კლიენტისგან ჯარიმის გადახდა დაგვიანების თითოეული დღისთვის, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: გადასახდელი თანხის მოცულობაზე დარიცხული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, გაყოფილი 365-ზე

5.20. ბროკერის ბრალით კლიენტისთვის თანხების დაბრუნების პირობების დარღვევისთვის, ბროკერი გადაიხდის ჯარიმას, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: ჯარიმის გაანგარიშების დღეს დასაბრუნებელი თანხის მოცულობაზე დარიცხული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, გაყოფილი 365-ზე. პროცენტი გაიანგარიშება თითოეული ვადაგადაცილებულ დღისთვის, კლიენტის მიერ შეტყობინების წარდგენიდან მესამე სამუშაო დღიდან.

5.21. კლიენტისთვის უცხოურ ვალუტაში თანხების დაბრუნების ვადების შეუსრულებლობა არ იწვევს ბროკერის პასუხისმგებლობას, თუ ასეთი შეფერხება გამოწვეულია უცხო ქვეყნის მთავრობის ორგანოებისა და ადმინისტრაციის, საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისი,

უცხოური ორგანიზაციების ან ასოციაციების (კავშირების) გადაწყვეტილებებით, მათ შორის შემზღუდავი ზომების გამოყენებით, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო სანქციებით და სხვა შეზღუდვებით, რომლებიც გამოიყენება კლიენტის, ბროკერის, ბანკის და მათთან დაკავშირებული სხვა პირების ან მათთან ერთ ჯგუფში შემავალი პირების, ინფრასტრუქტურის ორგანიზაციის, ემიტენტის ან ფასიანი ქაღალდების პასუხისმგებელ პირების მიმართ.

5.22. ბროკერი არანაირ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის ბროკერის ბრალეულობის გარეშე მიყენებულ რაიმე დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია ბროკერის მიერ კლიენტისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მოწოდებული ფასიანი ქაღალდების კოტირებების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, თუ გამოყენების შეუძლებლობა გამოწვეულია, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: (ა) შეცდომებით, (ბ) დაგვიანებით, (გ) ინფორმაციის მიწოდების ტექნიკური ხარვეზით, (დ) დაუდევრობით, (ე) უმოქმედობით, (ვ) დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით.

5.23. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ზარალზე და/ან დანაკარგზე, პირდაპირ თუ ირიბად, მათ შორის მიოუღებელი შემოსავლისთვის, რაც გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების კოტირებების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობით ან დაგვიანებით.

5.24. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე, ასევე ნებისმიერ ზიანზე (მათ შორის მიუღებელი შემოსავლის, საქმიანი აქტივობის შეფერხების, ინფორმაციის დაკარგვის, სხვა დანაკარგების ყველა შემთხვევის ჩათვლით), თუ ვალდებულებების ასეთი ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება გამოწვეული იყო აღჭურვილობის და/ან პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზით, გაუმართაობით, და/ან საკომუნიკაციო სისტემების გაუმართაობით, ელექტროენერგიის მიწოდების, კონდიცირების და სხვა ტექნიკური სისტემების გაუმართაობით, და თუ ასეთმა გარემოებებმა პირდაპირ გავლენა მოახდინა ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.25. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის რაიმე დანაკარგზე, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ემიტენტის ან ფასიან ქაღალდებზე პასუხისმგებელი პირის ან რეგისტრატორის ქმედებებთან/უმოქმედობასთან.

5.26. კლიენტის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სავაჭრო წესების დარღვევის, არასტანდარტული გარეიგებების დადების მიზნით ბრძანების წარდგენის შემთხვევაში (სებ-ის მიერ დადეგენილი მარეგულირებელი აქტებით არასტანდარტული ტრანზაქციების კრიტერიუმების შესაბამისად), კლიენტი აუნაზღაურებს ბროკერს ყველა ხარჯს და/ან საკომისიოს, ჯარიმას, რომელიც ბროკერმა გაიღო/გადაიხადა ასეთი ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით.

5.27. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი იმ ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევებზე, რომელიც ვრცელდება უცხოურ სავაჭრო პლატფორმაზე, შესაბამის უცხოურ სავაჭრო პლატფორმაზე გარიგებების დადებისა და შესრულების პროცედურის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი წესებისა და დებულებების, აგრეთვე საქმიანი ბრუნვის სხვა წესების, დებულებებისა და წეს-ჩვეულებების დარღვევებზე, რომელთა დაცვა სავალდებულოა შესაბამის უცხოურ სავაჭრო პლატფორმაზე დადებული გარიგებების შესრულებისას.

კლიენტი სრულად აგებს პასუხს ბროკერისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანსა და/ან დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია კლიენტის მიერ ამ პუნქტში მითითებული წესების,

რეგულაციების, ბიზნეს პრაქტიკის ან კანონმდებლობის შეუსრულებლობით ან არასათანადოდ დაცვით.

5.28. ბროკერი არ აგებს პასუხს მის მიერ კლიენტისთვის გაგზავნილი საინფორმაციო შეტყობინებების (მათ შორის, სავაჭრო იდეების) მიუწოდებლობისთვის. კლიენტი ამით აღიარებს ბროკერის მიმართ პრეტენზიების არარსებობას იმ შემთხვევაში, თუ ბროკერის მიერ კლიენტისთვის გაგზავნილი შეტყობინებების მიწოდება ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია.

5.29. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ მესამე მხარეებისგან მიღებული და კლიენტისთვის ბროკერის მიერ გაგზავნილი საინფორმაციო შეტყობინებების სისწორეზე, სიზუსტეზე, სანდოობაზე, სიმართლესა და შინაარსზე. ბროკერი ინფორმაციას არ ამოწმებს და არ ასწორებს. მოწოდებული ინფორმაცია ასევე არ წარმოადგენს რაიმე გარიგებსი დადების რეკომენდაციას.

5.30. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ბრძანებით დადებული გარიგება, რომელიც წარდგენილია ამ ხელშეკრულების პირობების, ასევე სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, კანონების, წესების დარღვევით, სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი ან ასეთ გარიგებაზე აისახა ბათილი გარიგების შესაბამისი შედეგები, კლიენტი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ბროკერის ყველა ხარჯი/ზარალი, რომელიც მას მიადგა სადავო ფასიანი ქაღალდების და/ან სახსრების დაბრუნებისას.

5.31. ბროკერის მიერ კლიენტის ბრძანების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, რომელიც ვერ განხორციელდა ბროკერის არაბრალეულობით, ეს უკანასკნელი არ აგებს პასუხს კლიენტის მიერ ასეთი შეუსრულებლობის შედეგად მიყენებულ ზარალზე. კლიენტი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს ბროკერს ყველა ზარალი, რომელიც მიადგა ბროკერს მის მიერ ოფერტის/განთავსების შეთავაზების განაცხადის შეუსრულებლობის (არასათანადო შესრულების) შედეგად, კლიენტის ბრალეულობის გამო.

5.32. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ წარდგენილი სტოპ -ბრძანებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადო შესრულებაზე, ასევე კლიენტისთვის მათი შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით მიყენებულ ზარალზე, თუ ასეთი შეუსრულებლობა/არასათანადო შესრულება მოხდა ბაზარზე არსებული პირობების (ბაზრის სიტუაციის) ან ბროკერის კონტროლს მიღმა არსებული სხვა მიზეზების გამო.

5.33. ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტისადმი მიწოდებულ ანგარიშგებებში მითითებული ინფორმაციის სანდოობაზე, ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გარიგებებისა და ოპერაციების მდგომარეობის შესახებ, შემომავალი და გამავალი ნაშთების შესახებ, თუ კლიენტის მიერ რეგლამენტით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტები ბროკერს არ მიეწოდა ან მიეწოდა დაგვიანებით.

მუხლი 6. დავების გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეები შეეცდებიან, მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ მათ შორის წარმოშობილი ყველა დავა და უთანხმოება.

6.2. თუ მხარეებს შორის წარმოშობილი დავა მოლაპარაკებების გზით ვერ მოგვარდება, ასეთი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში;

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. ბროკერი იღებს ვალდებულებას, შეზღუდოს კლიენტის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებამოსილების მქონე თანამშრომლების წრე იმ რაოდენობამდე, რომელიც აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.2. ბროკერი უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობას და იღებს ვალდებულებას, არ გაუმჟღავნოს მესამე პირებს ანგარიშების, სავაჭრო და არასავაჭრო ტრანზაქციების, დეტალების და კლიენტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ბროკერისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებიდან გამომდინარე.

7.3. კლიენტის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს შემდეგ პირებს:

- უშუალოდ კლიენტს;
- კლიენტის უფლებამოსილ პირებს;
- საქართველოს ეროვნულ ბანკს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ბროკერის საქმიანობის შემოწმებისას, ხოლო უცხოურ სავაჭრო პლატფორმებზე განხორციელებული ტრანზაქციებისას ასევე უცხოურ ფინანსურ მარეგულირებლებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სხვა სახელმწიფო ორგანოებს და მათ თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მოცულობით;
- პირებს, რომლებმაც მიიღეს წვდომა ფიზიკურ პირებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე (პერსონალურ მონაცემებზე) და მის დამუშავებაზე - კლიენტს/კლიენტის წარმომადგენელს, კლიენტის/კლიენტის წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, ასეთი დამუშავების განხორციელებაზე;
- კლიენტებთან დაკავშირებული ტრანზაქციების კონტრაგენტები - იურიდიული პირები;
- ვაჭრობის ორგანიზატორებისთვის, კლირინგის სახლებისთვის, რეპოზიტორებისთვის, ემიტენტებისთვის, ზემდგომი ბროკერებისთვის, აგრეთვე სხვა ორგანოებისთვის, ორგანიზაციებისთვის ან მათი თანამდებობის პირებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით, მოქმედი უცხოური კანონმდებლობით, ვაჭრობის ან კლირინგის წესებით, ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.4. ბროკერის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირებისთვის გამჟღავნება, თუ ასეთი შესრულება ხორციელდება მათი დებულებებისა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად, კერძოდ, ინფორმაციის გამჟღავნება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზატორებისთვის, დეპოზიტარებისთვის, კლირინგისა და ანგარიშსწორების ორგანიზაციებისთვის, ასევე ზემდგომი ბროკერებისთვის, არ წარმოადგენს კონფიდენციალურობის პირობების დარღვევას.

7.5. კლიენტი იღებს ვალდებულებას, ბროკერის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაუმჟღავნოს მესამე პირებს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულების მოქმედებისას.

7.6. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებები ძალაში რჩება მხარეებს შორის ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც 5 (ხუთი) წლის ვადით.

7.7. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე გაამჟღავნებს კონფიდენციალურ ინფორმაციას ამ ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებელ პირებზე, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, მხარეს, რომლის უფლებებიც დაირღვა, უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისგან კომპენსაცია მისთვის მიყენებული ზიანისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალის გარემოებები

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ისეთი ზიანის ანაზღაურებისგან, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით, თუ ასეთი შეუსრულებლობა/არასათანადო შესრულება იყო წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებების შედეგი და მხარეთა კონტროლის მიღმა.

8.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებით დაზარალებული მხარე ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოებებისა და მათი შესაძლო შედეგების შესახებ რეგულაციებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული გარემოებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისთვის.

8.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებით დაზარალებული მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოებების შეწყვეტის შესახებ და სრულად განაგრძოს შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.4. დაუძლეველი ძალის გარემოებები შეიძლება მოიცავდეს სამხედრო მოქმედებებს, მასობრივ არეულობებს, სტიქიურ უბედურებებს (ექსტრემალური ამინდის პირობები), ხანძრებს, ეპიდემიებსა და გაფიცვებს, ასევე საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებისა და ადმინისტრაციის, საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისო, უცხოური ორგანიზაციების ან ასოციაციების (კავშირების) გადაწყვეტილებებს, მათ შორის შემზღუდველ ზომებს, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება: სანქციებით და სხვა შეზღუდვებით, რომლებიც აუარესებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების პირობებს ან შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებას, მათ შორის ბრძანების შეუსრულებლობას, გარიგების დადების შეუძლებლობას, კონტრაგენტების მიერ გარიგებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეჩერებას/შეწყვეტას, ინფრასტრუქტურული ორგანიზაციების მიერ ვაჭრობის, კლირინგის, სადეპოზიტო ოპერაციებს შეუძლებლობას.

მუხლი 9. ხელშეკრულებასა და მის დანართებში ცვლილებების შეტანის პროცედურა

9.1. ხელშეკრულებასა და მის ნებისმიერ დანართში ცვლილებები და/ან დამატებები შეაქვს ბროკერს ცალმხრივად.

9.2. ბროკერის მიერ ხელშეკრულებასა და მისი დანართებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები მტკიცდება ბროკერის ერთადერთი აღმასრულებელი ორგანოს ბრძანებით.

9.3. ბროკერის მიერ ხელშეკრულებასა და მის დანართებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედი შემდეგი წესით:

- მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, ასევე სავაჭრო წესებში ან კლირინგის წესებში ცვლილებები და დამატებები, თუ ასეთი ცვლილებები აუარესებს კლიენტის მდგომარეობას ან შეიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პროფესიული

საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ახალ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, ძალაში შედის შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივ აქტებით და/ან სავაჭრო წესებით და/ან კლირინგის წესებით დადგენილი წესით, მიუხედავად იმისა, შეტანილია თუ არა აღნიშნული ცვლილებები ხელშეკრულებაში ან მის დანართებში.

- მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, ასევე სავაჭრო წესებში ან კლირინგის წესებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები რომელიც უნდა აისახოს ხელშეკრულებასა და მის დანართებში, თუ აღნიშნული ცვლილებები შეიცავს დამატებით უფლებებს, აუქმებს ან აუმჯობესებს ადრე დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, ძალაში შედის ბროკერის მიერ მათი დამტკიცებისთანავე.
- ხელშეკრულებასა და მის დანარტებში ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ბროკერმა საკუთარი ინიციატივით შეიტანა და არ არის დაკავშირებული საქართველოს მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, სავაჭრო წესებში ან კლირინგის წესებში ცვლილებებთან, ძალაში შედის ბროკერის მიერ მათი დამტკიცებისთანავე.

9.4. კლიენტს ეცნობება ხელშეკრულებაში და/ან მის დანართებში ცვლილებების და/ან დამატებების შესახებ ბროკერის ვებ-გვერდის მეშვეობით აღნიშული ცვლილების ძალაში შესვლამდე არაუგვიანეს 2 სამუშოა დღისა.

9.5. ხელშეკრულებაში და/ან მის დანართებში ცვლილებების და/ან დამატებების ბროკერის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება ნიშნავს ბროკერის მიერ კლიენტებისთვის შეტყობინების ვალდებულების სათანადოდ შესრულებას.

9.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება ამ მუხლის პროცედურების დაცვით ძალაში შესვლის მომენტიდან თანაბრად ვრცელდება ყველა კლიენტზე, მათ შორის მათზე, ვინც ხელშეკრულება დადო ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღამდე. ბროკერის მიერ ხელშეკრულებაში და/ან მის დანართებში შეტანილ ცვლილებებთან ან დამატებებთან უთანხმოების შემთხვევაში, კლიენტს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

9.7. თუ კლიენტი, ხელშეკრულებაში ან მის დანართებში ცვლილებებისა და/ან დამატებების ძალაში შესვლის შემდეგ, განაგრძობს ასეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებას, კერძოდ, შეასრულებს ხელშეკრულებით ან მისი დანართებით გათვალისწინებულ მოქმედებას, მაგალითად, წარადგენს ბრძანებას გარიგების დადების შესახებ ან განაცხადს თანხების გადარიცხვის/გატანის ან სხვა ქმედების შესახებ, მაშინ იგულისხმება, რომ კლიენტი ეთანხმება ხელშეკრულებაში და მისი დანართებში მითითებულ ცვლილებებსა და/ან დამატებებს ახალ ვერსიას.

9.8. შეტყობინებების ფორმების შეცვლისას, ბროკერს, ახალი ფორმების ამოქმედებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, უფლება აქვს მიიღოს შეტყობინებები ძველი ფორმების მიხედვითაც.

9.9. ამ ხელშეკრულებით და/ან მასთან დანართებით დადგენილი მხარეებს შორის ურთიერთქმედების წესი, შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებით შეთანხმებით.

9.10. კლიენტს არ აქვს უფლება გადასცეს ან სხვაგვარად დააკისროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები, ვალდებულებები მესამე პირებს.

9.11. ბროკერს უფლება აქვს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები გადასცეს/ბროკერისთვის კუთვნილი ვალდებულებები დააკისროს, ასევე უფლებებთან

დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს, მათ შორის პირს, რომელსაც არ აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილის ლიცენზია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გადაცემ მესამე პირზე, რომელსაც არ აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის ლიცენზია, შესაძლებელია იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კლიენტი ინფორმირებულია და ეთანხმება, რომ ზემოაღნიშნული უფლებების გადაცემა არ საჭიროებს კლიენტის დამატებით წერილობით თანხმობას. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს კლიენტის სრულ და საკმარის თანხმობას ზემოაღნიშნული უფლებების გადაცემისთვის.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურა

10.1. კლიენტს და ბროკერს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მიზეზების ახსნის გარეშე. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

10.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ხელშეკრუელბის შეწყვეტამდე 30 კალენდარული დღით ადრე ბროკერისთვის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნის გზით, ბროკერის მიერ დადგენილი ფორმით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინება კლიენტს შეუძლია გაუგზავნოს:

- პირად კაბინეტში სათანადო ფორმის შევსებით; ან
- ელექტრონული ფოსტით, კლიენტის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკანირებული შეტყობინების ფორმის გამოგზავნის გზით;

შეწყვეტის შესახებ შეტყობინებების გასაგზავნად ელექტრონული ფოსტის მისამართია: clients@rioni-capital.ge ან ბროკერის მიერ მითითებულ სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

თუ შეწყვეტის შესახებ შეტყობინება მოიცავს შეცდომებს, ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს განმარტებები კლიენტისგან იმავე წესით, რომლითაც მიიღო შეწყვეტის შესახებ შეტყობინება. ამ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული 30-დღიანი ვადა იწყება ბროკერის მიერ განმარტებების მიღების მომენტიდან. ბროკერს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანისთვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეეტა იწვევს:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შეწყვეტას (ხელშეკრულების შეწყვეტას) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. კლიენტის აქტივების საბროკერო ანგარიშებიდან საბოლოო გატანის /გადატანის თარიღიდან;
- ბროკერთან საბოლოო ანგარიშსწორებას ადრე შესრულებულ ბრძანებებთან დაკავშირებით და მის მიმართ დავალიანების დაფარვას, მაგრამ არაუადრეს 31-ე (ოცდამეთერთმეტე) კალენდარული დღისა ბროკერის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან.

ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ბროკერი კლიენტს კითხვარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებას მისი შეწყვეტის ზუსტი თარიღის მითითებით.

10.4. ბროკერის წყვეტს ხელშეკრულებას კლიენტისთვის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნის გზით ხელშეკრულების შეწყვეტამდე 30 კალენდარული დღით ადრე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების 3.4.11 პუნქტით გათვალისწინებულ ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში და ამავდროულად კლიენტის ანგარიშებზე აქტივების, ასევე ბროკერის მიმართ დავალიანების არარსებობის შემთხვევაში, ბროკერს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნით შეწყვეტის თარიღამდე არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ბროკერის მიერ:

- წერილობით, დაზღვეული წერილით, კლიენტის კითხვარში მითითებულ საფოსტო მისამართზე; ან
- კლიენტის კითხვარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე გაგზვნით.

10.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს ვალდებულებისგან, გადაუხადოს ბროკერს ანაზღაურება ბროკერის მიერ კლიენტისთვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული მომსახურებისთვის, ან აუნაზღაუროს ბროკერს მის მიერ გაწეული ხარჯები.

10.6. ბროკერის მიერ კლიენტის შეტყობინების მიღების ან კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნის დღიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ბროკერს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტისგან გარიგებებზე ბრძანების მიღება და/ან შეწყვიტოს ყველა (ინდივიდუალური) მომსახურების გაწევა. კლიენტის მიერ ბროკერის წინაშე დავალიანების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უფლება აქვს შესასრულებლად მიიღოს მხოლოდ ასეთი ვალის დაფარვისკენ მიმართული გარიგებების ბრძანებები, იმ პირობით, რომ ასეთი გარიგებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა არ აღემატება ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილ ვადას.

10.7. ხელშეკრულების შეწყვეტამდე 15 სამუშაო დღით ადრე, კლიენტი ვალდებულია განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება საბროკერო ანგარიშებიდან აქტივების განაღდებისთვის/გადარიცხვისთვის, მათ შორის მიმდინარე საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების, ცალკეული ბრძანებების და განკარგულებების გაცემა. კლიენტი ასევე ვალდებულია დაფაროს ბროკერის წინაშე არსებული ყველა ვალდებულება და დავალიანება და წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლის მიწოდების ვალდებულებაც კლიენტმა არ შეასრულა.

10.8. ორმხრივი ანგარიშსწორების დასრულების შემდეგ, ბროკერი ხურავს კლიენტის ყველა ანგარიშს მესამე მხარის დეპოზიტარებსა და კლირინგ სახლებში, რომლებიც გახსნილია ამ ხელშეკრულების შესაბამისად. თუ კლიენტის ანგარიშზე, რომელიც გახსნილია ბროკერთან ხელშეკრულების შესაბამისად, არის ფასიანი ქაღალდები, ბროკერს უფლება არ აქვს შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

10.9. ბროკერს უფლება აქვს გააუქმოს მის მიერ ადრე გაგზავნილი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება. ასეთი შეტყობინების გაუქმების თარიღად ჩაითვლება კლიენტის კითხვარში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაუქმების შესახებ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის დღე.

10.10. ბროკერს უფლება აქვს, ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე, თუ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები ხელმისაწვდომია, დამოუკიდებლად, კლიენტის სპეციალური ბრძანების გარეშე, დაუბრუნოს მას აქტივების დარჩენილი ნაწილი ან გადარიცხოს ეს დარჩენილი ნაწილი საკუთარ საბანკო ანგარიშზე კლიენტის მოთხოვნის გარეშე.

მხარეები ამით თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებში გამოიყენონ პირობითი ბრძანება, რომლის მიხედვითაც, თუ კლიენტი არ შეასრულებს ან არასწორად შეასრულებს ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალისწინებული თანხის გატანის/გადარიცხვის ვალდებულებას, კლიენტი ამით ავალებს (განაცხადს წარადგენს) ბროკერს, რომ ხელშეკრულების ყველა ანგარიშზე რეგისტრირებული თანხების

მთელი თავისუფალი ნაშთი გადაირიცხოს კლიენტის ნებისმიერ საბანკო რეკვიზიტზე, რომელიც ცნობილია ბროკერისთვის. კლიენტი ავალებს ბროკერს, შეასრულოს ეს პირობითი ბრძანება არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტის შეწყვეტისა. ეს ბრძანება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

10.11. კლიენტის თანხების გადარიცხვის (გატანის) განაცხადის შესაბამისად, ბროკერს, უფლება აქვს, კლიენტისთვის გადასაცემი თანხების ოდენობიდან დაიკავოს მისთვის გადასახდელი ანაზღაურებისა და ხარჯების შესაბამისი თანხები და მათი არასაკმარისობის შემთხვევაში, გამოიყენოს ხელშეკრულების ან მისი დანართების შესაბამისი პროცედურები.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. ეს ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

11.2. დანართი №1: შპს „რიონი კაპიტალის“ კლიენტების კლიენტების მომსახურების რეგლამენტი

11.3. დანართი №2: კლიენტის კითხვარი

11.4. დანართი №3: ხელშეკრულებასთან მიერთების შესახებ განაცხადი.

11.5. დანართი №4: ტარიფები საცალო კლიენტებისათვის

მუხლი 12. ბროკერი:

12.1. ბროკერის რეკვიზიტები

ადგილმდებარეობის მისამართი:

გოდერძი ჩოხელის 1-ლი შესახვევი #12

ID: 405664017

საქართველოს ეროვნული ბანკის საბროკერო საქმიანობის ლიცენზია #

ტელ.: ნებისმიერი ტელეფონის ნომერი, რომელიც მითითებული შპს „რიონი კაპიტალის“ ტელეფონის ნომრების სიაში, რომელიც განკუთვნილია კლიენტებთან (დეპოზიტორებთან) ურთიერთობისთვის საბროკერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების, ინდივიდუალური საინვესტიციო ანგარიშის წარმოების შესახებ ხელშეკრულების, სადეპოზიტო ხელშეკრულების, უცხოელი უფლებამოსილი მფლობელის სადეპოზიტო ანგარიშის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში და განთავსებულია ბროკერის ვებსაიტზე.